ბრძანება:ბ36. 362403355
თარიღი:02/02/2024

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებებლი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - „სამუშაო ჯგუფი“) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნიკა ბოლქვაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) ტარიელ აროშიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ჯგუფის წევრი;

გ) გოჩა აბაშმაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ჯგუფის წევრი;

დ) თემურ მურვანიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის, ტრანსპორტის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;

ე) მარიამ ჭანტურია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;

ვ) ნინო ბახტაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - ჯგუფის წევრი;

ზ) თამარ ვანიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პროტოკოლის სპეციალისტი - ჯგუფის წევრი.

მუხლი2.სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფის ხელმძღვანელი (ნ.ბოლქვაძე) უზრუნველყოფს - პროცესის საერთო ხელმძღვანელობას და ანგარიშგებას მერთან;

ბ) ჯგუფის წევრი (ტ.აროშიძე) უზრუნველყოფს - საკრებულოს წევრებთან ურთიერთობას, მათ ინფორმირებას და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვას პროგრამის განხორციელების პროცესში;

გ) ჯგუფის წევრი (გ. აბაშმაძე) უზრუნველყოფს - საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირებას, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავებას. შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვას და მერისათვის წინადადებების მომზადებას;

დ) ჯგუფის წევრი (თ. მურვანიძე) უზრუნველყოფს - საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირებას დასახლებების მიხედვით, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადებას;

ე) ჯგუფის წევრი (მ ჭანტურია) უზრუნველყოფს - მერის სამართლებრივი აქტების მომზადებას, საერთო კრებების/მოსახლეობასთან კონსულტაციის ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერას;

ვ) ჯგუფის წევრი (ნ.ბახტაძე) უზრუნველყოფს - მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას, მოსახლეობის ინფორმირებას მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერას საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის.

ზ) ჯგუფის წევრი (თ. ვანიძე) უზრუნველყოფს საერთო კრებების/მოსახლეობასთან კონსულტაციის ჩატარების პროცესში ოქმების შედგენას.

მუხლი3. სამუშაო ჯგუფის წევრები მსჯელობენ და განსაზღვრავენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საერთო კრებების სხდომებისა და კონსულტაციების ჩატარების, დასახლებებისათვის საორიენტაციოდ გამოყოფილი თანხების ოდენობების, მათი ეფექტურად გამოყენების გზებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

მუხლი4.ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი5.სამუშაო ჯგუფი ანგარიშვალდებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

მუხლი6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა N14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ავთანდილ თალაკვაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი